



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		<b>აუდიოვიზუალური ხელოვნება</b> (მატერული კინოს რეჟისურა)			
განათლების საფეხური		უმღალესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა			
მისანიჭებელი კვალიფიკაცია		აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი <b>MASTER OF AUDIOVISUAL ARTS</b>			
პროგრამის მოცულობა ECTS		120 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სწავლება 4 სემესტრი. სპეციალობის საგანები - 35 კრედიტი; ძირითადი მოდული - 45 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი; არჩევითი კურსები - 10 კრედიტი.			
სწავლების ენა		ქართული			
სწავლის ღირებულება		1500 ლარი			
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>					
სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა კინო-ტელე ხელოვნების ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. გარდა ამისა დაიშვებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე პირნი, რომელთაც გავლილი აქვთ minor-პროგრამა კინო-ტელე მიმართულებით, ზემოაღნიშნული მაგისტრანტობის კანდიდატები აბარებენ მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს: შესრულებული ნამუშევარი კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა და წერიტი დავალება საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე (100 ქულა - საიდანაც კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა - 70 ქულა; წერიტი დავალება - 30 ქულა).					
სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები: შესრულებული ნამუშევარი კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა, წერიტი დავალება საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე და კინოს ისტორია (შეფასება - 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა - 60 ქულა; წერიტი დავალება - 30 ქულა, კინოს ისტორია - 10 ქულა). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის დაწყებამდე გაივლის უცხო ენის დონის დასადგენ ტესტირებას.					
თითოეული საკონკურსო ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით.					
<b>შეფასების კრიტერიუმები</b>					
<b>კინოფილმი/ტელეფილმი; ტელეგადაცემა 0 – 70 ქულა</b>					
ქულა	რეჟისორული ხედვა და მხატვრული გადაწყვეტა	ვიზუალის ესთეტიკა და სტილისტიკა	სიუჟეტის ვიზუალურ-თხრობითი გამართულობა	ხმოვან-მუსიკალური გახმოვანების ხარისხი	სიუჟეტის მონტაჟური მთლიანობა
61-70	სრულყოფილია				
51-60	სრულყოფილია				კარგია
41-50	კარგია				შეიმჩნევა ნაკლოვანებები
31-40	კარგია		შეიმჩნევა ნაკლოვანებები		ნაკლოვანია
21-30	კარგია		შეიმჩნევა ნაკლოვანებები		არ პასუხობს მოთხოვნას
11-20	შეიმჩნევა ნაკლოვანებები		ნაკლოვანია		
1-10	დამაკმაყოფილებელია		არ პასუხობს მოთხოვნას		
0	ნამუშევარი სრულიად არადასაკმაყოფილებელია				
<b>კინოფილმი/ტელეფილმი; ტელეგადაცემა - 60 ქულა</b>					
ქულა	რეჟისორული ხედვა და მხატვრული გადაწყვეტა	ვიზუალის ესთეტიკა და სტილისტიკა	სიუჟეტის ვიზუალურ-თხრობითი გამართულობა	ხმოვან-მუსიკალური გახმოვანების ხარისხი	სიუჟეტის მონტაჟური მთლიანობა
51-60	სრულყოფილია				
41-50	სრულყოფილია				კარგია
31-40	კარგია				შეიმჩნევა ნაკლოვანებები
21-30	კარგია		შეიმჩნევა ნაკლოვანებები		

11-20	კარგია	შეიმჩნევა ნაკლოვანებები	ნაკლოვანია	არ პასუხობს მოთხოვნას
1-10	შეიმჩნევა ნაკლოვანებები		ნაკლოვანია	არ პასუხობს მოთხოვნას
0	ნამუშევარი სრულიად არაა დამაკმაყოფილებელია			
<b>მხატვრული კინოს რეჟისურა 0-10 ქულა (2 ხუთქულიანი საკითხი)</b>				
<b>საგამოცდო საკითხები და ლიტერატურა - კინოს თეორია და ისტორია</b>				
<ul style="list-style-type: none"> <li>კინოს დაბადება, წინაპირობები. თ. ედისონი; ძმები ლუმერები; ჟ. მელიესი. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია, უხმო კინო, თბ., 2007; თვალჭრელიძე ტ., კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1981</li> <li>უხმო კინოს ესთეტიკა. დ. უ. გრიფიტი; ჩ. ჩაპლინი. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო, თბ., 2007; თვალჭრელიძე ტ., კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1981; „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ №1 (42), 2010</li> <li>ქართული კინოს დაბადება. პირველი კინემატოგრაფისტები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., დროთა ეკრანი, თბ., 1990; დოლიძე ზ., ქართული კინო, თბ., 2005; ხარატიშვილი გ., ქართული კინოს დაბადება, თბ., 1975; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, I ნაწილი, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007</li> <li>XX ს-ის 20-იანი წლების ქართული კინოს ძირითადი ტენდენციები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., დროთა ეკრანი, თბ., 1990; დოლიძე ზ., ქართული კინო, თბ., 2005; ხარატიშვილი გ., ქართული კინოს დაბადება, თბ., 1975; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, I ნაწილი, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007</li> <li>„კინოვანგარდი“. „კინოექსპრესიონიზმი“. წარმოშობის მიზეზები და გამომსახველობითი ხერხები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო, თბ., 2007; „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ №3 (48), 2011.</li> <li>ხმოვანი კინოს წარმოშობა და მასთან დაკავშირებული ცვლილებები. კინოს სახეები და ჟანრები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო, თბ., 2007</li> <li>მეორე მსოფლიო ომი და კინემატოგრაფი. ისტორიული მოვლენების გავლენა კინოს განვითარებაზე. ლიტ: დოლიძე ზ., ქართული კინო, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007; „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ №4 (53), 2012</li> <li>ახალი მიმდინარეობებისა და სტილისტური მიმართულებების ფორმირება კინოში (50-60-იანი წლები). იტალიური „ნეორეალიზმი“. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; თვალჭრელიძე ტ., სიმართლე ეკრანზე, თბ., 1989.</li> <li>ფრანგული „ახალი ტალღა“ - ახალი ესთეტიკა, ახალი თემები. ლიტ: ამირეჯიბი ნ. სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ. 1990; თვალჭრელიძე ტ., სიმართლე ეკრანზე, თბ., 1989.</li> <li>70-80-იანი წლების კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები. ლიტ: თვალჭრელიძე ტ., კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1981; კუჭუხიძე ი., ეკრანი და დრო, თბ. 2009; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, I ნაწილი, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007</li> </ul>				
<b>შეფასება</b>				
5 - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხს.				
4 - პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ შეკვეცილია; ტერმინოლოგიურად გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს.				
3 - პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.				
2 - პასუხი არასრულია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად ფლობს მასალას; აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.				
1 - პასუხი ნაკლოვანია; გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.				
0 - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.				
<b>პროგრამის მიზანი</b>	სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას,			

	<p>რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარება.</p> <p>სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტის მსოფლმხედველობის გაფართოებას, თანამედროვე ტენდენციების შესწავლას კინომატოგრაფიაში. ანალიტიკური უნარებისა და წარმოსახვის განვითარებას, მაგისტრანტებმა უნდა შეძლონ აქტუალური თემის შერჩევა და შესაბამისი კონცეფციის ჩამოყალიბება, ძიების სწორად წარმართვა და რეჟისორული გააზრება-გადაწყვეტა.</p> <p>პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი, რომელიც შეძლებს მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის წარმოების ყველა ეტაპის გავლას: სცენარის ღრმა სტრუქტურული ანალიზი, ევრანული გადაწყვეტის ძიება, სარეჟისორო სცენარზე მუშაობა და სადადგმო იდეის მხატვრულ-კონცეპტუალური ანალიზი; სცენარისტთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, მთავარ ოპერატორთან მუშაობა და მომავალი ფილმის იდეურ-ვიზუალური პროექტირება, სარეჟისორო კადრირება; გადაღებების დაგეგმვა (გადასაღები ადგილი(ებ)ის წინასწარი შერჩევა, გადაღების გრაფიკის შედგენა); მსახიობთა კასტინგი და ძირითადი რეპეტიციები, ტექნიკურ-შემოქმედებითი გადაღები ჯგუფის ფილმზე მუშაობის პროცესის ორგანიზება-წარმართვა (მოცემული ამოცანის შესაბამისად მიზანსცენის, ეპიზოდის დადგმა და სცენურ-კომპოზიციური გამართვა; განათების დაყენება (განათებელთან მუშაობა) და გადაღების წარმოება; გადაღებული აუდიო-ვიზუალურ მასალების რეჟისორული ანალიზი, მონტაჟის რეჟისორთან, კომპოზიტორთან და ხმის რეჟისორთან მუშაობა: ფილმური აუდიო-ვიზუალური მასალების, ხმოვან-მუსიკალური ხაზის მონტაჟური დახარისხება და სტრუქტურირება; ფილმის მონტაჟური აგება/აწყობა და გამთლიანება. ფილმის საბოლოო მონტაჟურ-ტექნიკური გამართვა და იდეურ-შინაარსობრივი სრულყოფა.</p> <p>მაგისტრანტი, პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრანტმა კარგად გაითავისოს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების ფუნდამენტური პრინციპები, კინოპროდიუსინგის და მედიამენეჯმენტის საფუძვლები. ფილმის შექმნის მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესი და ტექნიკა და ტექნოლოგიები. წარმოების ორგანიზების, პროექტირების, პოსტწარმოების, ფილმის სამომხმარებლო ბაზარზე წინ წაწევის მარკეტინგული მეთოდები. კურსდამთავრებული შეძლებს დამოუკიდებელ საავტორო მხატვრულ ფილმზე მუშაობას. საავტორო პროექტის წარმოების შემოქმედებითი, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსურ-მენეჯერული ასპექტების სახესხვაობრივი ნიუნსების გათვალისწინებით.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ სადიპლომო ნაშრომის სახით, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის/ან ტელესერიალის ეპიზოდ(ებ)ის გადაღებას, ფილმის ტრეილერის მომზადებას, ექსპლიკაციის მომზადებას - მოცემული ფილმის სადადგმო პროექტის თეორიულ ანალიზს, რომელიც შეიცავს კვლევის ელემენტებს. სასწავლო გეგმით კურსდამამთავრებლებს, ასევე, ევალუბათ სადიპლომო ნაშრომისათვის თრითმენტისა და სინოფსის მომზადება.</p>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსის ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p>

	<p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“-ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</li> <li>• საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.</li> <li>• შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.</li> <li>• დაუშვებელია პლაგიატი.</li> <li>• შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</li> </ul>
<p><b>პროგრამის ხელმძღვანელი</b></p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი - ზაზა ხალვაში, კინორეჟისორი, პროფესორი. პროგრამის თანახელმძღვანელი - ნატო ცქვიტინიძე დოქტორი, ასისტენტი</p>

**სასწავლო პროცესების სტრუქტურა**

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	კრედიტი	კრედიტების განაწილება			
				I	II	III	IV
<b>სპეციალობის ძირითადი კურსები</b>			<b>105</b>	<b>15</b>	<b>30</b>	<b>30</b>	
M5b1		ოპერატორის ოსტატობა	5	5			
M5b2		მონტაჟი	5		5		
MHf-4		გლობალიზაცია და თანამედროვე პოპულარული კულტურები	5		5		
MAf-1		მეტყველება	5		5		
M5b3		პროდიუსინგი	5			5	
MHf-5		კულტურის პროექტების მენეჯმენტი	5			5	
M5b4-1		მხატვრული კინოს რეჟისურა 1	10	10			
M5b4-2	M5b4-1	მხატვრული კინოს რეჟისურა 2	15		15		
M5b4-3	M5b4-2	მხატვრული კინოს რეჟისურა 3	20			20	
M5b5		სამაგისტრო ნაშრომი (კ)	30				<b>30</b>
<b>არჩევითი კურსები</b>			<b>15</b>	<b>15</b>			
<b>სულ</b>			<b>120</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>